პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით — ოთხშაბათი, 7 მაისი 1924 წ. — წელიწადი მეოთხე — ფასი 5 კაპ. ჩერ.

# წითელი მეომარი

№ 491 ქ. მ. დ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., რუსთ. პროს. ქართ. დივ. შტაბი ქალ. ელს № 1—40
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვო. ნეც' ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## ს. კ. პ. მესამე ყრილობა.

გუშინ გაიხსნა საქართველოს კომუნისტურ პარტიის მესამე ყრილობა.

ყრილობამ ჯამი უნდა გაუკეთოს ერთი წლის ნამუშევარს და დაისახოს მომავალი მუშაობის გეგმები.

მესამე ყრილობას უხდება მუშაობა სულ სხვა პირობებში ვიდრე წინა ყრილობებს.

დღეს უკვე ის უთანხმოება, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენს პარტიაში, ამოწურულია და ყრილობა იმუშავებს ერთსულოვნად მთლიანობის ნიშან ქვეშ.

ყრილობის დღის წესრიგში მრავალი საჭირბოროტო საკითხებია დასმული, რომელთა მიზანშეწონილათ გადაჭრაზე დამოკიდებულია ჩვენი მომავალი მუშაობის წარმატება.

განსაკუთრებულ ყურადღების ცენტრში დგას ჩვენი მეურნეობის, შინა ვაჭრობის და კოოპერაციის საკითხები. ცხადია, რომ ყრილობა შესაფერ მსჯელობას იქონიებს ამ რთულ ამოცანებზე და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანს.

ნაციონალურმა საკითხმა, რომელიც ასე მტკივნეულად იდგა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, უკვე დაკარგა ის სიმწვავე. ნაციონალური საკითხის მოგვარებაში ჩვენმა პარტიამ დიდ შედეგებს მიაღწია. მაგრამ ჯერ კიდევ რასაკვირველია არ არის სრულიად გადაჭრილი ეს საკითხიც. ყრილობა ნაციონალურ საკითხს ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს.

გასული წლის განმავლობაში ჩვენმა პარტიამ გაანადგურა ანტი-საბჭოთა პარტიები. მენშევიკური პარტია, რომელიც მრავალ წლების განმავლობაში ფლობდა საქართველოს მშრომელ მასებს, დასამარდა.

მენშევიკური პარტიის რამოდენიმე ათასი წევრი დადგა საბჭოთა დროშის ქვეშ. ეს დიდი გამარჯვებაა კომუნისტურ პარტიის. მან დაიპყრო მშრომელთა მასები. დაუახლოვდა მას. ამ გარემოების საუკეთესო დამამტკიცებელია მუშების ლტოლვა კომუნისტურ პარტიისაკენ.

ამგვარად, ჩვენი პარტიის მესამე ყრილობა ღირსეულად გადაჭრის პარტიულ, სამეურნეო, სახელმწიფოებრივ და სხვა საკითხებს, რომელიც მის წინაშე დგას და მისცემს დირექტივებს მომავალ ცენტრალურ კომიტეტს, რომელსაც დაავალებს ყოველგვარ მუშაობის ხელმძღვანელობას პარტიის შემდეგ ყრილობამდე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერი იქნება, რადგან პარტია დღეს ერთსულოვანი და მთლიანია.

შეთანხმებული მუშაობა და მტკიცე კავშირი ჩვენს რიგებში თავდებია ჩვენი გამარჯვების.

## პუანკარე არ ცხრება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში მოთავსებულ რადიო დეპეშებიდან მკითხველები გაიგებდენ თუ რა თავხედურ ფაქტს ქონდა ადგილი ბერლინში 3 მაისს. ბერლინში, რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობაში, შეიჭრა პოლიციის პოლიტიკურ ნაწილის უფროსის ხელმძღვანელობით პოლიციელთა შეიარაღებული ბრბო, რომელმაც დარბევა მოახდინა შენობის, გაჩხრიკეს ყველა ყუთები, თანამშრომლები გამორეკეს, გასტეხეს ხიშტებით მაგიდები, არ მისცეს სავაჭრო წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს მოძრაობის უფლება, ერთ-ერთ თანამშრომელს პასპორტიც ჩამოართვეს, ზოგიერთებს ფიზიკური შეურაცყოფაც მიაყენეს. ასეთი ექს-ტერიტორიალობის (უცხოელ სახელმწიფოთა წარმ. ხელუხლებლობის კანონი) გაუგონარ დარღვევას და საერთაშორისო დიპლომატიური ჩვეულებების უხეშად გათელვას ჯერ ადგილი არ ჰქონებია ამათ მოქმედებების პრაქტიკაში. როგორც სჩვევია ბურჟუაზიულ მთავრობებს, გერმანიის მთავრობაც ამ შემთხვევაში ასეთ დიდ ინციდენტის მიზეზად მიგვითითებს უბრალო საბაბზე. გერმანიის მთავრობის ნოტაში და ვოლფის სააგენტოს ცნობით, ბერლინის სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკის და მისი წევრების დაპატიმრების, უშუალო მიზეზად უნდა ჩაითვალოს, ვითომც დატუსაღებულ კომუნისტ ბოცენგარდტის სავაჭრო წარმომადგენლობის წევრთა დახმარებით განთავისუფლება და უკანასკნელის დამალვა წარმომადგენლობის შენობაში. ამის გამო „როტე-ფანეს“ საგანგებოდ გამოსული ნომერი, ბერლინის პოლიციის მოქმედებას სთვლის საერთაშორისო უფლებების ტლანქ დარღვევად, პროვოკაციად და გერმანიის მთავრობის აგრესიულ მოქმედებად საბჭოთა კავშირის მიმართ.

ცხადია, გერმანიის მთავრობის ნოტაში აღნიშნული ამბები (კომუნისტ ბოცენგარდტის განთავისუფლება) აქ არაფერ შუაშია თუ მართლაც ქონდა მას ადგილი, მის გამოსასწორებლად არსებობდა მრავალი გზები, მაგრამ გერმანიის მთავრობამ ამჯობინა განხეთქილებაზე წასვლა, როგორც ეს აღნიშნა ამხ. ლიტვინოვმა. ამ მოვლენების მიზეზები ჩვენ უნდა ვეძიოთ გერმანიის საშინაო და საგარეო მდგომარეობის პირობებში. უკანასკნელ ხანებში აშკარად სჩანს გერმანიის კაპიტულიაცია საფრანგეთის წინაშე. გერმანიის მთავრობის მოქმედება შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ნდობის დამსახურება პუანკარეს წინაშე და მისთვის, სამსახურის გაწევა. აქ აშკარაა პუანკარეს ხელი. შესაძლებელია ის მოელოდა ბომბებს, და იარაღის საწყობებს ბერლინის წარმომადგენლობაში, ეს ცუდ პირობებს შექმნიდა ლონდონის კონფერენციის ნაყოფიერ მუშაობისათვის, ეს უკანასკნელი კი დიდ საფრთხეს უმზადებს პუანკარეს ეკონომიურ პოლიტიკას და ნაწილობრივ გერმანიის მრეწველთა წრეებს, რადგან კრედიტების მიღების შესაძლებლობასთან ერთად იმპორტი მოხდება ინგლისის ხარჯით და არა გერმანიის. ყოველ შემთხვევაში ეს ამბები უფრო მეტ ცუდ შედეგებს იქონიებს თვით გერმანიაზე, ვიდრე სხვა რომელიმე მხარეზე. ეს თვით გერმანიის მთავრობის საქმეა, გამოასწორებს ის თავის შეცდომას სათანადო ბოდიშის მოხდით და შესძლებს განაგრძოს წინეთ არსებული მეგობრული ურთიერთობა და მისგან გამომდინარე დადებით შედეგების მიღება—თუ ის ამჯობინებს საბჭოთა კავშირთან სრულ განხეთქილებას.

— ო.

# რადიო-დეპეშები

— ამხ. კრესტინსკი შტრეზემანისადმი გადაცემულ ნოტაში უარყოფს სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლებისადმი წაყენებულ ბრალდებებს და მოითხოვს მათ განთავისუფლებას.

— გერმანიის რეიხსტაგის არჩევნებში კომუნისტებმა დაიკავეს მეოთხე ადგილი.

— ამხ. ლიტვინოვმა კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ბერლინში სავაჭრო წარმომადგენლობასთან ინციდენტში ურევია პუანკარეს ხელი.

— საბჭოთა—ინგლისის კონფერენცია ჯერ-ჯეროებით ნაყოფიერად მიმდინარეობს.

## ჩვენ და ისინი

**რა მოიმიზეზეს გერმანიის ჟანდარმებმა.**

ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ სსრ-კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ: კომუნისტი ბოცენგარდი დატყვევებული იქნა ვიუტენბერგში და გადაგზავნილი ბერლინში, სადაც ვიუტენბერგის პოლიციელები ნახულობს სავაჭრო წარმომადგენლობას, ამ მიზეზით, რომ იქ მოთავსებულია კაფე. სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში ბოცენგარდი განთავისუფლდა რამოდენიმე თანამშრომლის დახმარებით, რომლებმაც ვიუტენბერგის პოლიციელები დააკავეს და გაანთავისუფლეს ისინი მხოლოდ ენერგიული და დაჟინებითი თხოვნის შემდეგ.

სავაჭრო წარმომადგენლობის ხუთი თანამშრომელი პასუხის გებაში იქნებიან მიცემული, რომელთაც ბრალდებათ პოლიციელების დაკავება და პატიმარ კომუნისტის განთავისუფლება: სამი დანარჩენი, დატუსაღებული არიან სახელმწიფო ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევისათვის.

**გერმანიის მთავრობის თავხედური ნოტა.**

გერმანიის მთავრობამ სსრკ წარმომადგენლობას ბერლინში გადასცა ნოტა, რომელიც აღნიშნავს, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომლები დაეხმარენ დატუსაღებულს დამალულიყო, რადგან მათ ძალით დააკავეს პატიმარზე დადევნებული პოლიციის მოხელეები, ამან აიძულა პოლიცია მოეხდინა სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკა, რომ აღმოეჩინათ დაპატიმრებული. ამავე დროსვე იქნა დაპატიმრებული წარმომადგენლობის თანამშრომელთა მთელი რიგი.

შემდეგ გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო მიუთითებს, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაზე არ ვრცელდება განსაკუთრებული უპირატესობანი, რომლითაც სარგებლობენ დიპლომატიური მისიის შენობები. საგარეო საქმეთა სამინისტრო პასუხის გებაში აძლევს სავაჭრო წარმომადგენლობის თანამშრომელებს, რომლებმაც დაარღვიეს გერმანიის კანონები.

**„მაქსიმალური ზრდილობიანობა“.**

რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ გაჩხრეკა მოხდა მაქსიმალური ზრდილობიანობის დაცვით და პოლიტიკური პოლიციის უფროსის პერსონალურ მეთვალყურეობის ქვეშ.

ყუთები მხოლოდ ერთ ოთახში იქნენ დამტვრეული, რაც გამოიწვია თანამშრომლების უარმა გადაეცათ პოლიციისათვის ყუთების გასაღებები.

არავითარ ძალდატანებას რუს თანამშრომლებზე ადგილი არ ქონია. ძალას მიმართავდენ მხოლოდ განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაწევის დროს. ჩამორთმეული დიპლომატიური ხასიათის ქაღალდები გასინჯვის შემდეგ ისევ უკანვე იქნა დაბრუნებული.

**საერთაშორისო უფლების ჯერ არ ნახული დარღვევა.**

„როტე ფანეს“ საგანგებო ნომერი.

საგანგებოდ გამოშვებული „როტეფანე“ ს. ს. რ. კ. სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარ გაჩხრეკას უწოდებს საერთაშორისო უფლების ჯერ არ ნახულ დარღვევას, პროვოკაციას და გერმანიის მთავრობისაგან ჩადენილ აგრესიულ აქტს ს. ს. რ. კავშირის წინააღმდეგ.

**გერმანიის პრესა ინციდენტის შესახებ.**

**„დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“-ს ეშინია სერიოზული კონფლიქტის**

სავაჭრო წარმომადგენლობაში მომხდარი ჩხრეკის გამო „დოიჩე ალგემაინე ცეიტუნგი“ (მძიმე ინდუსტრიის ორგანო) აღნიშნავს, რომ აუცილებელია გამოძიების მოხდენა, იმ მიზნით, რომ გამოირკვეს სიმართლე საბჭოთა ცნობებთან დაკავშირებით პოლიციის უხეში მოქცევის შესახებ.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა თავიდან იქნეს აცილებული სერიოზული კონფლიქტის შესაძლებლობა მომხდარი ამბების ნიადაგზე.

**კონსერვატორები დანაშაულობას თავზე ახვევენ სავაჭრო წარმომადგენლობას.**

კონსერვატიული გაზეთების მთელი რიგი და მათ რიცხვში სოც. დემოკრატიის ორგანო „ფორვესტიც“ აღნიშნავენ, რომ მომხდარ ინციდენტში დამნაშავეა საბჭოთა მთავრობა, რადგან ის აწარმოებს მფარველობით პოლიტიკას გერიანიის კომპარტიის მიმართ.

**გერმანიის ჟანდარმების ზურგს უკან პუანკარე იმალებოდა.**

„როტეფანე“ მომხდარ ინციდენტის გამო აღნიშნავს, რომ გერმანიის ბურჟუაზია ამზადებს კაპიტულიაციის პუანკარეს წინაშე, და ამ მიზნით სურს უთანხმოება ჩამოაგდოს საბჭოთა კავშირთან, თუმც საბჭოთა კავშირი, როგორც მსხვილი პროლეტარული სახელმწიფო არ დაუშვებს ასეთ პროვოკაციას. გერმანიის მუშები თავის მხრივ პროტესტს განაცხადებენ პუანკარეს წინააღმდეგ, რომელიც მიისწრაფვის დაიმონოს გერმანია და დაჟინებით დაიცავენ საბჭოთა რუსეთთან კავშირს.

„როტე ფანე“ აღნიშნავს, რომ პოლიცია ეძებდა გაქცეულ კომუნისტს საწერ მაგიდებში და კონფისკაცია უყო ათარება დოკუმენტებს. მოახდინეს პერსონალური ჩხრეკა. პოლიცია უხეშად ეპყრობოდა ქალებს და პროტესტის შემთხვევაში თანამშრომელებს ემუქრებოდა დატუსაღებით.

### ინციდენტი განზრახ მოაწყვეს. საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა.

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ შტრეზემანისადმი გადაცემულ საპროტესტო ნოტაში კრესტინსკი აღნიშნავს, რომ ს.ს.რ. კავშირის და გერმანიის შორის არსებულ ხელშეკრულების თანახმად, სავაჭრო წარმომადგენლობა სარგებლობს ექსტერიტორიალური უფლებით; ამიტომ პოლიცია ვალდებული იყო, როდესაც მან ეჭვი მიიტანა, რომ სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაში იმალებოდა დამნაშავე, საგარეო საქმეთა სამინისტროს საშუალებით მიემართა ს.ს.რ. კავშირის წარმომადგენლობისათვის.

ნოტაში ხაზ გასმით არის აღნიშნული, რომ შტრეზემანმა, ჩხრეკის დროს კრესტინსკისთან საუბარში აღნიშნა სავაჭრო წარმომადგენლობის სარგებლობა ექსტერიტორიალური უფლებით და შეპირდა კრესტინსკის პოლიციის დაუყონებლივ გამოყვანას შენობიდან. მიუხედავად ამისა პოლიციამ მაინც არ დასტოვა დარბაზი. მთავრობის მრჩეველმა ვეისმა განაცხადა, რომ ბრძანება მიიღო პოლიციის გაყვანის შესახებ; მაგრამ როდის უნდა შესრულებულიყო ბრძანება ამის შესახებ არავითარი ცნობა არ იყო.

ნოტა აღწერს თუ როგორ სწარმოებდა გაჩხრეკა: საწერი მაგიდები მოწმეების დაუსწრებლად იღებოდა. პოლიციის აგენტები შეცვივდენ სავაჭრო წარმომადგენლის კაბინეტში; ორი თანამშრომელი რომელიც ეკუთვნოდა დიპლომატიური შემადგენლობას შეურაცხყოფილი იქმნენ მოქმედებით.

მრავალი თანამშრომლები დაატყვევეს და პოლიცია მათ უხეშად დასცინოდა.

ბოლოს ნოტაში ნათქვამია, რომ ს. ს. რ. კავშირის მთავრობა უფლებას იტოვებს ინციდენტის გამო გამოიყვანოს ყველა აუცილებელი დასკვნები.

**ამხ. ლიტვინოვი ინციდენტის შესახებ.**

როსტას კორესპონდენტთან საუბარში რუსეთის სავაჭრო წარმომადგენლობის გაჩხრეკის შესახებ საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე ამხ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ პოლიციის უაზრო თავდასხმა სავაჭრო წარმომადგენლობის შენობაზე, არა თუ მარტო ფორმალური დარღვევაა ექსტერიტორიალური უფლების და საბჭოთა მთავრობის შეურაცხყოფაა, არამედ ეს ისეთი მოქმედებაა, რომელიც ხელს უშლის ჩვენს წარმომადგენლობას ნორმალური მუშაობას წარმოებაში.

**პოლიცია მოქმედებდა ცენტრალურ ხელისუფლების თანხმობით.**

იმის საუკეთესო დამამტკიცებლად რომ პოლიცია მოქმედებდა ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით უნდა ჩაითვალოს გერმანიის მთავრობის ნოტა რომელიც გადაეცა ამხ. კრესტინსკის.

**ინციდენტში პუანკარეს ხელი ურევია.**

მუშათა და გლეხთა ფართო მასების შეკითხვაზე, რომ ხომ არ არის მომხდარი ინციდენტი გერმანიის მთავრობის ფრონტის შეცვლით გამოწვეული ჩვენთან დამოკიდებულებაში, შეიძლება დარწმუნებით ვუპასუხოთ, რომ არა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაუშვათ, რომ გერმანიის მთავრობა შეგნებულად მიისწრაფოდეს საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის შორის არსებულ მეგობრულ დამოკიდებულების შეცვლისაკენ. გერმანიის ხელისუფალთა მოქმედება უფრო შეგვიძლია ავხსნათ სარეპარაციო საკითხებთან დაკავშირებით პუანკარეს გულის მოსაგებათ, რომელიც დაინტერესებულია საბჭოთა—გერმანიის მეგობრული ურთიერთობის დარღვევით, და მეორე მხრივ ჩაშალოს საბჭოთა—ინგლისის კონფერენცია. გაჩხრეკა იმ განზრახვით იყო მოწყობილი, რომ ჰფიქრობდენ სავაჭრო წარმომადგენლობაში აღმოეჩინათ იარაღის საწყობი და სხვა. ასეთი გზით კი ერთგვარად შეაშინებდენ მაკდონალდს ჩაეშალა კონფერენცია და უკიდურეს შემთხვევაში რუსეთისათვის ცუდი შანსებით დამთავრებულიყო მოლაპარაკება. რადგან ინგლის—საბჭოთა ეკონომიურად დაახლოვება არა თუ ეწინააღმდეგება მარტო პუანკარეს გეგმებს, არამედ თვით გერმანიის ზოგიერთ სავაჭრო წრეების ინტერესებსაც.

## კაპიტალისტურ ქვეყნებში

**მთელ გერმანიაში.**

საარჩევნო ოლქებში: დრეზდენში, ბერლინში, კიოლნში, პელიეში და სამხრეთ ვესტფალიაში ხმების უმრავლესობა მიიღო ბურჟუაზიულმა პარტიებმა, შემდეგ კომპარტიამ, ვიდრე სოციალ-დემოკრატებმა. შუა გერმანიაში კი სოციალ-დემოკრატებმა უფრო მეტი ხმები მიიღეს ვიდრე კომპარტიამ.

გალეში ყველა პარტიებზე ძლიერი კომპარტია გამოდგა.

**არჩევნები გერმანიაში.**

შეუმოწმებელი ცნობების თანახმად რეიხსტაგის არჩევნებში გაიმარჯვა ნაციონალისტურ პარტიამ. ტევტონელთა პარტიას უფრო ნაკლები გამარჯვება ხვდა წილად. სოციალ-დემოკრატებმა დიდი დამარცხება იგემეს ბევრ ადგილებში. კომპარტიამ საგრძნობლად გაიმარჯვა.

## წითელ დროშოვან არმიის სარდლის ამხ. ეგოროვის გამგზავრება

მაისის 5, რევსაბჭოს შენობაში ამხ. ეგოროვის უკრაინის და ყირიმის შეიარაღებულ ძალთა სარდლათ დანიშვნის გამო,—გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრო ტფილისის გარნიზონის უფროსი და საშუალო უ. ფ.—და პოლიტ-შემადგენლობა. ამხ. შ. ელიავამ, რევსაბჭოს სახელით წარმოთქმულ სიტყვაში,—დაახასიათა, ამხ. ეგოროვის ნაყოფიერი და დაუღალავი მუშაობა, წითელ—დროშოვან არმიის სარდლის თანამდებობაზე. ამხ. ელიავამ კრებას მოახსენა საქ. ცაკის დადგენილება ამხ. ეგოროვის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვების შესახებ. ქართულმა დივიზიამ და სამოსწავლო-სამწყობრო ბატალიონმა მიუძღვნა ადრესი. რევსაბჭომ ამხ. ეგოროვს მიართვა ფასიანი საჩუქარი ამხ. ლენინის თხზულებათა უკანასკნელი სრული გამოცემა მისი დაუღალავი მუშაობის, სამხედრო საქმის ცოდნათა დონის აწევის და სამხედრო ნაწილების განმტკიცების საქმეში, აღსანიშნავად. ამხ. ეგოროვი უკვე გაემგზავრა ქ. ხარკოვში თავის მოვალეობის ასასრულებლად, სადაც ის დანიშნულია უკრაინის და ყირიმის შეიარაღებულ ძალთა სარდლათ.

## ქ. მ. დივიზიის მესამე პარტიული კონფერენცია.

2 მაისის საღამოს სხდომა.
(გაგრძელება).

ქ. მ. დივიზიის პოლიტგანის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. თ. ჟღენტი.

ამხანაგებო! პოლიტ-განყოფილებას მეორედან მესამე კონფერენციამდე მუშაობაში ოთხი ომთავრესი პერიოდი ქონდა.

1. ძველი ჯარის დემობილიზაცია და ახალის მოწვევა, 2. საბანაკოდ გასვლა და იქ მუშაობა, 3. საზამთრო მუშაობა, 4. ამავე ჯარის დემობილიზაცია და მზადება ახალი მოწვევის შესახებ. ამ წლის განმავლობაში ბევრი რამ არის პოლიტგანისაგან გაკეთებული, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ არ იყოს დეფექტები, რის მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს სათანადო მუშაკთა უყოლობა. ყველასათვის აშკარაა რომ ჩვენ არა გვყავს საჭირო კადრი პოლიტ-მომუშავეების. ძველი ჯარის დემობილიზაცია და ახლის გაწვევა კარგათ და სასურველათ ჩატარდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ნაკლს, რომელიც იყო ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ეს არის ჩვენი დაპირების 6 თვის სამსახურის დროის განსაზღვრის შეუსრულებლობა. საერთოდ პოლიტგანის ხაზი იყო სწორი და ამიტომ შედეგებიც მიზან შეწონილია.

**სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.**

ანგარიში აგიტ-განყოფილების. საანგარიშო წლის დასაწყისიდან მთავარი ყურადღება მიქცეული ქონდა 1901 წ. დაბადებულთა გასაწვევ საქმის მზადებას და მთელი ეს საქმიანობა აგიტპროპ ნაწილმა ღირსეულათ ჩაატარა სათანადო ორგანოებთან კავშირის დაჭერით. როგორც ქალაქში ისე მაზრებში იქმნა ჩატარებული საჭირო კომპანიები, გამოყენებული იქმნა კლუბები, თეატრები, წითელი სახლები და სხვა. რის შედეგიც იყო გამოწვეულთა 100 პროც. გამოცხადება. მობილიზაციის ჩასატარებლათ გამოშვებული იქმნა: მოწოდებები მცხოვრებლებთა მიმართ ქარ. ენაზე 10.000 ც. რუსულ ენაზე 2.000 ც. ლოზუნგები 9.000 ც. მხატრული პლაკატები 10.000 ც. გაზეთი „წითელ არმიელის" საგანგებო ნომრები და სხვა.

დემობილიზაციაც ხდებოდა მობილიზაციასთან ერთად, რომელთაც უმართავდით გამოსამშვიდობებელ საღამოებს, ვაძლევდით ახსნა განმარტებებს და სხვა. ამ მუშაობის ჩატარების შემდეგ გადავდივართ მუშაობის ნორმალურ პირობებზე. ეწყობა პოლიტ-საათების სისტემატიური მეცადინეობა, მეცადინეობა უფროსთა შემადგენლობაში, თუმცა ამ უკანასკნელთა შორის არ სწარმოებდა სისტემატიური მეცადინეობა სათანადო მუშაკთა უყოლობის გამო.

საბანაკო მუშაობა უფრო ნაყოფიერათ უნდა ჩაითვალოს, ეს გამოიხატებოდა ნაწილების მიერ სოფლებზედ კულტშეფობის მიღებაში. დახმარება გლეხებისადმი ხიდების და გზების გაყვანაში, იმართებოდა უფასო წარმოდგენა-სპექტაკლები, მოხსენებები და სხვა. გაზაფხულის პერიოდში საგრძნობლათ იქმნა ჩატარებული ანტი-რელიგიური პროპაგანდა, გასამართლებების, ინსცენიროვკების, მიტინგების და საუბრების სახით. აგვისტოს თვეში იქმნა ჩატარებული წითელ არმიელთა პოლიტ-ცოდნის გამოცდები, რომელმაც მოგვცა შემდეგი შედეგები: გამოცდილ იქმნა 2545 წ. ა. ამათში ჩააბარა გამოცდა კარგათ 1043 კაცმა, დამაკმაყოფილებლათ 1120 და სუსტათ 382.

ივლისის თვეში გახსნილი იქნა პოლიტ-მუშაკთა მოსამზადებელი კურსები 47 მსმენელთა შემადგენლობით. მეცადინეობის გათავების შემდეგ გამოშვებულ იქმნა 37 კურსანტი, რომლებიც გადაგზავნილ იქმნენ ნაწილებში პოლიტხელთა თანამდებობაზედ. დეკემბერში გახსნილ იქმნა პარტიული სკოლა, რომელიც მიუხედავათ ბევრი დამაბრკოლებელ მიზეზებისა, დაყენებული იქმნა თავის სიმაღლეზე. საანგარიშო წლის განმავლობაში ჩატარებული იქმნა შემდეგი კომპანიები: 1. პირველი მაისი. 2. რ. კომპარტიის ისტორია. 3. ჩვენი ბეჭვდის დღე. 4. პარიზის კომუნა. 5. ლენინის ამბები. 6. კომკავშირის აღდგომა. 7. თესვის კომპანია, 8. ახალგაზრდობის მომზადება, 9. რურის ოკუპაციის საწინააღმდეგო პროტესტი, 10. ინგლისის ულტიმატუმის საწინააღმდეგო პროტესტი, 11. ამხ. ვოროვსკის მოკვლის გამო, 12. 26 კომუნართა დახვრეტის, 13. 1901 წლ. ჯარში გაწვევის შესახებ, 14. დასახიჩრებულთა კვირეულის, 15. მომგებიანი სესხის, 16. მენშევიკური პარტიის დაშლა, 17. დეზერტირობაზე, 18. საჰაერო ფლოტის კომპანია, 19. წითელი ფიცი, 20. არმიის 5 წლის თავი, 21. მენშ. პარტ. კონფერ. შედეგები, 22. კომკავშირის 5 წ. თავი 23. მოსავლის კვირა, 24. ოქტ. რევ. 6 წ. თავი, 25. გერმანიის ამბები.

მერმედ მიმდინარეობს უფშემადგენლობასთან მეცადინეობა, და უვადო შვებულებაში 1901 წ. დაბადებულთა მუშაობის წარმოება სასურველათ იქნა ჩატარებული.

**სასკოლო მუშაობის დარგში.**

პირველ დღიდანვე მოხდა წერაკითხვის უცოდინართა აღრიცხვა რისაგან მივიღეთ შემდეგი ჯამი: წ. კ. უცოდინარნი—1548. მცირე მცოდნენი 1176, წ. კ. უცოდინართა სრული ლიკვიდაციისათვის საჭირო იყო 67 მასწავლებელი, პოლიტგანს კი შტატით ყავდა 18. მაგრამ გამონახული იქმნა საშვალება, და პოლიტგანის და განათ. კომისარიატის თანხებით იქმნა დაქირავებული 32 მასწავლებელი. ამ სახით წ. კ. უცოდინართა ლიკვიდაციამ მოგვცა ასი პროც. წერა-კითხვის მცოდნეთა. აგვისტოში იქმნა ჩატარებული მეტრიული სისტემის მეცადინეობა და ექსკურსიები.

**საბიბლიოთეკო დარგში.**

ქ. დ. საბიბლიოთეკო ქსელი დღეს დღეობით თანახმათ. ს. რ. საბჭოს დადგენილების № 1704. შესდგება 15 ბიბლიოთეკისაგან. რაც შეეხება ბიბლიოთეკის გარეგნულ მოწყობილებას დამაკმაყოფილებელია შენობით და სათანადო ინვენტარით, მეტის მეტი სუსტი მხარე ამ დარგში ქართული წიგნების სიმცირეა, ჩვენი ბიბლიოთეკის მუშაობის ტეხნიკური მხარე გასული წლის განმავლობაში არ იყო დამაკმაყოფილებელი რაიც იქნა გამოსწორებული ბოლო ხანებში, უმთავრესათ საბიბლიოთეკო საბჭოს საშვალებით, რომელიც დაარსდა გასულ წლის ოქტომბერში. ბიბლიოთეკართა მომსამზადებლათ მოწვეული იქმნა პრაქტიკუმები, ჯერ დივიზიის ბიბლიოთეკასთან და შემდეგ კოლექტორთან 9 პრაქტიკანტმა უკვე დაამთავრა მუშაობის კურსი, ეხლა მეცადინეობს კიდევ 10 პრაქტიკანტი. 1924 წ. იანვარიდგან მოწყობილია საკინძავი ქარხანა. აქვე, მომხსენებელი, აღნიშნავს მკითხველთა რიცხვის ზრდას, როგორც უფროსთა შემადგენლობის ისე წ. არმიელთა.

**საკლუბო სექციის დარგში.**

საკლუბო მუშაობა წლის განმავლობაში ნაწილდებოდა შემდეგ პერიოდებით: მზადებითი მუშაობა 1901 წ. დაბადებულთა ჯარში გაწვეულთა შესახვედრათ, კლუბი ბანაკათ, მზადებითი მუშაობა საზამთრო პერიოდისათვის და სხვა. უნდა ითქვას რომ საკლუბო მუშაობა ამ ბოლო ხანებამდი ვერ აღწევდა მიზანს, რაიც მიეწერება როგორც ფინანსიურ ისე სხვა ხასიათის მიზეზებს, 23 წ. მეორე ნახევარში ეს დეფექტი გამოსწორებული იქმნა; როგორც სისტემატიური მუშაობის მხრივ ისე უფ და პოლიტ შემდგენლობის ჩათრევით საერთო მუშაობაში.

1924 წელს. თებერვალში მუშაობდა 9 კლუბი და 46 წრე. წრეები შემდეგნაირათ ნაწილდებოდა. პოლიტ წრეები 6.170 წევრი, ფ. კულტურის 5. წევრები 292. დრამატიული წრე 8. წევრი 190. სამხედრო სამეცნიერო 1. 181 წევრი. ლიტერატურული 8. წევრი 200. სასოფლო მეურნეობის 8. წევრი 79. საერთო განათლების 1. 30 წევრი. სასიმღერო 4. წევრი 180. მარტში კი არსებობდა კლუბი 10. წრეები 75. მოწყობილია კუთხეები, გამოდის კედლის გაზეთები და სხვა.

**პარტ-აღმშენებლობის დარგში.**

ახალი წლის დაწყებიდგან განყოფილების მუშაობას შეადგენდა გაცხოველებულ კავშირის გაბმა ნაწილების პარტ-ორგანიზაციებთან ერთის მხრით, და მეორეთ საინსპექციო აქტებში აღნიშნულ დეფექტების გამოსწორებას. აპრილის თვიდან განყოფილებას მიეცა ინსტრუქტორი, რომელიც შეუდგა საქმის გაცნობას და მუშაობს.

პარტ ორგანიზაციებთან კავშირი უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლათ. მარტის თვეში განყოფილების მიერ მოწვეული იქმნა გარნიზონში მდგომ ნაწილების პარტ-ორგანიზაციების მდივნებისა და პრეზიდიუმის წევრთა თათბირი, რომელიც ნაყოფიერად იქნა ჩატარებული.

დივიზიის ფარგლებში ჩამოყალიბებული ასეულების კომუჯრედების რიცხვი მარტში აღწევდა 40-მდე.

დივიზიის ფარგლებში ჩამოყალიბებულია 40 პარტ. წრე. რომელშიდაც სისტემატიურათ მეცადინეობენ პარტ ამხანაგები, საერთო რიცხვი დამსწრეთა 3547 მათში 1010 უპარტიო. კავშირი სამოქალაქო კომუჯრედებთან სათანადო სიმაღლეზე სდგას, მხოლოთ ესაჭიროება მეტი განმტკიცება, საერთოთ პარტ აღმშენებლობის დარგში მუშაობა ჩაითვლება დამაკმაყოფილებლათ, რა თქმა უნდა, აღნიშნავს მომხსენებელი, დეფექტები ყველა დარგში შეიძლება იპოვიათ მხოლოთ საერთო ჯამი გვაძლევს მუშაობის პროგრეს.

(შემდეგი იქნება)

გო—ცი.



## პირველი მაისისადმი მიძღვნილი ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი დროშა“ № 16 (ცალკე საკავშირო ა'ეულის ორგანო). ლამაზია. კოხტა ფორმატი და დასურათებული.

ზემოდ შრომის სამეფო პირველ მაისში თავისი შრომის ლოშქრით, საგაზაფხულოდ მორთულ ბუნების წიაღში, წითე ი დროშის ტყეებით.

შიგ დახატულია წაქცეული მღვდლები, რომელთაც შესდგომია ზედ ცალი ფეხით წითელ არმიელი და აუფრიალებია წითელი დროშა. არის აგრეთვე, იუმორი, დახატული პაგონი, საკავშირო ასეულის ემბლემით, რომელშიაც არის დახატული ერთ ერთი ამხანაგი, რომელიც ეტრფის „კუბიკებს“ მკლავზე, მეკობრულის დაცინვით.

მეთაურია ქრისტეს „აღდგომის“ შესახებ, მეორე და მესამე წერილები (მიშიკოსი და გელაშვილისა) პირველ მაისზე. მერე მიდის ასეულის ცხოვრება (ანგარიში კომუჯრედის მუშაობაზე, სანიტარია--გოგოძესი), შემდეგ პოეზია (ლექსები აღდგომაზე და პირველ მაისზე—გიოშვილისა) პროზა (საპირველ მაისო სურათი—სევდიშვილისა) და იუმორი.

გაზეთი კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. ამ ასეულის გაზეთი, რაც დრო მიდის თანდათან პირველობას იჩემებს დივიზიაში.

„პირველი მაისი“ № 3 (ცენტრალურ კლუბის ორგანო).

ფორმატით აქამდის არსებულ კედლის გაზეთებზე დიდია. ზედა ნაწილი (გაზეთის ერთი მესამედი) უჭირავს სურათს. (გორები, მზე ამოდის ჩაქუჩ-ნამგლით. აქეთ-იქით ციხე-სიმაგრეები, საიდანაც მოჩანს ქაპხნის ბუხრები. წინ, გაშენებულ ცხენზე, წითელი ჰეროლდი--წითელი მხედარი—საყვირით).

სამი წერილია მაისის შესახებ ერთი გურული სცენა—აღდგომის შესახებ.

სულ დაბლა შრომის სამეფოს სილუეტები. წერილები კარგია, მაგრამ გრძელებია და არა თანასწორ სვეტებში დაწერილი, რაც თვალს ვერ იზიდავს.

ისე მაინც კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

საჭიროა შემდეგისათვის უფრო გამოსწორდეს და, როგორც ცენტრკლუბის ორგანო, იყოს მაგალითის მიმცემი ჩვენი დივიზიის ნაწილების კედლის გაზეთებისათვის.

სანი.

## ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულში.

26 აპრილს ცალკე მესანგრე ასეულში შესდგა საერთო კრება. კრებას დაესწრენ ყველა წით. მესანგრეები და უფ. პოლიტშემადგენლობა. კრების თავმჯდომარეთ იქმნა არჩეული ამხ. ყუბანეიშვილი; მდივნათ ამხ. ხომერიკი. დღის წესრიგში იყო შემდეგი.

1. „ევკოგრუზის“ რწმუნებულთა ყრილობაზე დელეგატის არჩევა.

2. ასეულის კოპ. დუქნის მეთვალყურე კომისიის წევრების არჩევა.

3. მიმდინარე კითხვები.

„ევკოგრუზის“ რწმუნებულთა ყრილობაზე იქმნა არჩეული ამხ. ზარებტოვი. ასეულის კოოპერატიული დუქნის მეთვალყურე კომისიის წევრების არჩევამდე ასეულის დრ. სამხკომმა ამხ. ჭელიძემ წაიკითხა და გააცნო კრებას კოპ. დუქნის მეთვალყურე კომისიის წევრების სახელმძღვანელო წესდება, რის შემდეგაც არჩეულნი იქმნენ მეთვალყურე კომისიის წევრებათ ამხ. ამხ. 1. ხუციშვილი, 2. ხომერიკი და 3 ზუბიევი, რომლებსაც კრებამ დაავალა დღიდგან ამორჩევისას შესდგომოდნენ თავიანთ მუშაობას მიმდინარე. კითხვებში პასუხი გასცეს წით. არმ. შეკითხვებს, ახალი ფეხსაცმელების დარიგების შესახებ, რომლებსაც შეპირდა ასეულის მნე, რაც მეორე დღეს სისრულეში მოყვანილ იქმნა. კიდევ იყო მრავალი შეკითხვები წით. არმ. მიერ, რაზედაც გაცემული იქმნა დამაკმაყოფილებელი პასუხი სამხკომის და ასეულის უფროსის მიერ.

პარტკორი: **ვ. მეგრელიშვილი.**

## მე-7-დე მეთაურთა სკოლა.

22 აპრილს ჩვენი სკოლის ბატარეის განყოფილების კურსანტემა, გამართეს საღამო, ლენინის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

საღამოს დაესწრენ კურსანტები სკოლის წ. არმიელები და გარეშე ხალხიც.

ჩვენ სამნეო ნაწილის წითელ არმიელებს მოგვიხდა ადრე მისვლა, მაგრამ, ამით ჩვენ არაფერი დაგვიშავებია. სკოლის კლუბი მშვენივრათ მოერთოთ პლაკატებით და სურათებით, ამ სურათების შინაარს, ბევრი ჩვენთაგანი ვერ გაიგებდა, რომ ამხ, შოთაძე არ მოგვშველებოდა და არ აეხსნა ჩვენთვის.

აქ იყო გამოხატული პირველ ყოფილი კომუნიზმი, ფეოდალური ხანა და კაპიტალიზმი. შემდეგ სურათებზე, იყო ნაჩვენები მიტინგი. სადაც ამხ. ტროცკი მოუწოდებს მუშებს და ჯარის-კაცებს შესწყვიტონ ომი გერმანიის მუშებისა და გლეხების წინაარმდეგ და გამართონ ახალი სასტიკი ომი საკუთარ ბურჟუაზიის წინაარმდეგ. ჩვენ, სამნეო ნაწილის წითელ არმიელები, დიდად კმაყოფილნი დავრჩით ამ სურათების ამხ. შოთაძის ახსნა განმარტებით. საღამომ ალტაცებაში მოგვიყვანა უსურვებთ ჩვენ კურსანტებს, რომ ასეთი საღამო კიდევ დაედგათ და საჭიროების და მიხედვით არ მოკლებოდეს წითელ არმიელთ პიესების და სურათების ახსნა-განმარტება.

წ. არ. **დორმიზაშვილი.**

## ცალკე საკავშირო ასეულში.

27 აპრილს ცალკე საკავშირო ასეულში მოხდა ლიტ-გასამართლება მორწმუნე წითელ არმიელ მთვრალაშვილისა.

მას ბრალდებოდა ის, რომ მიუხედავად მრავალ ანტი-რელიგიურ პროპაგანდებისა, რომელიც მისი სამსახურის დროს სწარმოებდა ასეულში, სადაც ყველამ შეიგნო, რომ არ არსებობს არავითარი ღმერთი და ყველა ესენი არის სიბნელის ნაყოფი, რომელიც დააწესა გაბატონებულმა კლასმა მშრომელთა უფრო ადვილად დასამონავებლად, მან მაინც არ ინდომა, რომ შეეგნო ეს ყველაფერი და დარჩა ისევ მორწმუნე მართლმადიდებლად.

განმარტებისათვის სიტყვა სთქვა ამხ. ნ. გიორგაძემ, რომელმაც დაასურათა ასეთი ლიტ-გასამართლების მნიშვნელობა.

სასამართლოს თავმჯდომარეობდა ამხ. პაზუშკო, წევრებად ამხ. ამხ. იოსელიანი და ჯიქია.

ბრალმდებლები: ამხ. ჩხიკვიშვილი და ამხ. ჭანკვეტაძე. დამცველებად: ამხ. გიორგაძე და ამხ. ხურცილავა. დამსწრეებიდან ბრალსა სდებს ამხ. ცხადაძე. გასამართლებამ გაცხოველებული ხასიათი მიიღო და დიდი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში. ბრალმდებელ დამცველთა შეხლა-შემოხლის შემდეგ, რომელშიც შესაფერისი ცოდნა გამოიჩინეს და რომელიც გაგრძელდა ოთხ საათს, სასამართლომ მთვრალაშვილი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა სამხედრო სამსახურის გაგრძელება მანამდის, ვიდრე ის არ შეიგნებს სარწმუნოების უსაფუძვლობას და არ გაერკვევა ამ საკითხში მეცნიერულად.

განაჩენმა კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

ასე იქნა ჩატარებული „აღდგომა“.

ს-ნ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.
## № 203

ქ. თბილისი — 5 მაისი 1024 წ.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მთავარსარდალი ამხ. ალექსანდრე ილიას-ძე **ეგოროვი**, ს.ს.რ. კავშირის სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით დაინიშნა ყირიმის და უკრაინის მთელ შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად და ამ ჟამად სტოვებს ჩვენს არმიას.

ამხ. **ეგოროვი** ორ წელზე მეტია რაც მთელი თავისი ენერგიით დაუზოგავად მუშაობდა ჩვენს რიგებში არმიის სიძლიერის განსამტკიცებლად.

მისი დაუღალავი და უდიდესი ავტორიტეტული ხელმძღვანელობით, არმიამ შედარებით ამ მცირე ხნის განმავლობაში უდიდეს შედეგებს მიაღწია საბრძოლო მომზადებისა და ჯარის ნაწილების ერთმანეთთან შეკავშირების საქმეში.

ამხ. **ეგოროვის** დაუღალავი მუშაობით და ყურადღებით ჩვენი არმიის ყოფა ცხოვრების წვრილმან მოვლენებისადმიც კი, შესაძლებელი გახდა სამეურნეო დარგში ყველა იმ შეცდომებისა და ნაკლულევანებათა გამოსწორება, რომლებიც, მეტის მეტად აბრკოლებდენ ჯარის გეგმა შეწონილად სწავლისა და მომზადების საქმეს.

ამხ. ეგოროვის ინიციატივით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაკეთებული იქნა უდიდესი საქმე არმიის უფ-პოლიტშემადგენლობის სამხედრო ცოდნათა დონის ამაღლებაში, ველად გასვლისა და სამხედრო გასართობების ორგანიზაციით, აგრეთვე ჩვენი არმიის ყველა ნაწილებში სამხედრო სამეცნიერო მუშაობის დაყენებით.

ამიერ კავკასიის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ნაციონალურ ნაწილების წესიერი ორგანიზაცია და ჩამოყალიბება უშუალოდ დაკავშირებულია ამხ. ეგოროვის სახელთან, რომელმაც თავისი ცოდნით და მუდმივი ხელმძღვანელობით გაადვილა ამ საკითხის სწორად გადაჭრა ადგილობრივი ცხოვრების პირობებში.

გეთხოვებით რა ღრმა მწუხარებით ძვირფასო ალექსანდრე ილიასძევ, სამხედრო რევოლიუციონური საბჭო გისურვებთ თქვენ სრულ გამარჯვებას თქვენს მომავალ მუშაობაში, ჩვენი ძვირფასი მუშათა და გლეხთა წითელი არმიის აღმშენებლობითი საქმეში.

სამხ. რევ. საბჭო: **ორჯონიკიძე**, **ელიავა**, **ა. მიასნიკოვი**, **კარაევი**

პოლიტიკური სამმართველოს **უფროსი რატნეკი.**

დრ. შტ. უფრ. **გედევანოვი.**

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა.
## № 202.

ქ. თბილისი. — 5 მაისი 1924 წელი.

§ 1.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების სამხედრო რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებით მე დავინიშნე ყირიმისა და უკრაინის სრულიად შეიარაღებულ ძალების მთავარ სარდლად. მივემგზავრები რა დანიშნულებისამებრ, არმიის დროებითი მთავარ სარდლობას, კამანდარმის ამხ. **პუგაჩოვის** ჩამოსვლამდე ვაკისრებ შტაბის უფროსის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელს ამხ. გედევანოვს.

§ 2.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის ამხ. წითელ არმიელებო, კომისრებო და კომანდირებო!

ჩვენი შეერთებული მუშაობით 2 წელზე მეტის განმავლობაში, თქვენი ენერგიით და რევოლიუციონური შეგნებით მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მხედრის მოვალეობაში, უდიდესი საქმე იქნა შესრულებული არმიის რიგების საომარი უნარიანობის განმტკიცებისა და ორგანიზაციის საქმეში. საომარი უნარიანობა განისაზღვრება ორი მომენტის შეერთებით—სამხედრო ტეხნიკური მომზადებისა და პოლიტიკური შეგნებით. როგორც პირველის ისე მეორე მუშაობის სფეროში თქვენ გააკეთეთ ყველაფერი შესაძლებლობის ფარგლებში. თქვენ ღირსეულად შეასრულეთ წითელი არმიის ბელადის ამხ. **ტროცკის** მიერ დასმული ამოცანა: „რაოდენობა შევცვალოთ ღირსებითო.“ თქვენი უდიდესი პოლიტიკური შეგნება გამომჟღავნდა ყოველგვარ ანტი საბჭოთა პოლიტიკურ ბანდების თქვენ მიერ საბოლოო ლიკვიდაციაში; ამიერ კავკასიის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების სადარაჯოზე დგომით თქვენ უჩვენეთ მთელ ქვეყანას მეკობრული, ძმური კავშირისა და ნაციონალური მშვიდობიანობის მაგალითი, რომლის დამყარება სშეუძლია მხოლოდ მშრომელ მასებს. ამ ჟამათ თქვენ იწყებთ ტერიტორიალურ-მილიციონური შეიარაღებულ ძალთა აღმშენებლობის საქმის ცხოვრებაში გატარებას. ეს სისტემა მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას თავისი მუშაობის ყველა დეტალებში არმიის ყველა მომუშავეთაგან და პირველ რიგში კი არმიის უფრ. და პოლიტიკური შემადგენლობის მხრიდან.

მუშაობა ამ სისტემის **პირობებში** მოითხოვს მჭიდრო კონტაქტსა და შეთანხმებულ მოქმედებას ხელისუფლების ყველა ორგანოებთან ადგილზე, ყველა პარტიულ, პროფკავშირებისა და ახალგაზრდა კომკავშირების ორგანიზაციებთან. ასეთი შეკავშირება მათსა და სამხედრო აპარატს შორის სრულიად უზრუნველყოფს არა მარტო არმიის საომარ უნარიანობას, არამედ მთელი ჩვენი დიდი სოციალისტური რესპუბლიკების თავდაცვითი უნარიანობას, და ამ ამოცანას კავკასიის წითელ დროშოვან არმიის გმირები ასრულებენ მთლიანად.

ვსტოვებ რა თქვენ რიგებს, ძმურად გართმევთ ხელს და გთხოვთ ნება მომცეთ თქვენი სახელით [illegible] ვესალმო საბჭოთა უკრაინის [illegible] რიმის მუშებსა და გლეხებს [illegible] რეთვე წითელი არმიის მეომრებს, კომანდირებს და კომისრებს.

— გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირს!

— გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძმურ კავშირს.

— გაუმარჯოს საბჭოთა ამიერ-კავკასიის დარაჯს და ფხიზელ გუშაგს —ძლევა-მოსილ კავკასიის წითელ დროშოვან არმიას.

კავკასიის წითელ დროშოვან არმიის მთავარსარდალი **ეგოროვი.**

რევსამხსაბჭოს წევრები;

**ორჯონიკიძე, ელიავა, მიასნიკოვი, კარაევი.**

პოლიტ-სამმართველოს უფროსი **რატნეკი.**

კ. წითელ დროშიან არმიის შტაბის უფროსის თანამდებობის დროებითი აღმასრულებელი **გედევანოვი.**

## ახალი ამბები.

— **ეკლესიების ალება.** ქალ. აღმასკომის კეთილ მოწყობის განყოფილებას წინადადება მიეცა დაუყონებლივ შეუდგეს ფეოდოსიევის ქუჩაზე და ალექსანდროვის ბაღში მდებარე ეკლესიების ალებას.

— **აგარაკების ნაციონალიზაცია.** ქ. აღმასკომის დადგენილებით აგარაკ მანგლისში ჩამოერთმევა ყველა აგარაკები იმ მეპატრონეებს, რომელნიც მუდმივად იქ არ სცხოვრობენ.

— **სააავადმყოფოს გადატანა.** ქ. აღმასკომმა ნება დართო ჯანმრთელობის განყოფილებას გადაიტანოს ავჭალის საავადმყოფო სოფ. გუნიაკალაში.

— **გლეხთა ყრილობა.** საქართველოს გლეხთა კომიტეტების ყრილობა 20 მაისიდან გადადებულია 6 ივნისისათვის.

— **ახალი ამხანაგობა.** გორის მაზრის სოფ. მიქაშვეთში დაარსდა სამეურნეო მანქანა—იარაღების საურთიერთო დამხმარე ამხანაგობა.

— **ზემო-ავჭალაში.** ზემო-ავჭალაში მიიღეს 30 ვაგონი ცემენტი, ჰიდრო-ელექტრონული სადგურის საჭიროებისათვის.

— **არხებზე მუშაობა.** ჰიდრო-ელექტრონული სადგურისათვის გაყვანილ არხების სიღრმე უკვე უდრის 2 საჟენს მტკვარის დონეზე დაბლა. მიუხედავად ამისა წყალდიდობა მაინც ხელს არ უშლის მუშაობის წარმოებას.

**მ. და გ. ინსპექციის რეორგანიზაცია.** შესდგა კომისია ქალაქის აღმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სარეორგანიზაციოთ. რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს ორ კვირაში.

— **ქალაქის აფთიაქები.** ქალაქის აღმასკომმა დაავალა ამხ. მამულიას მოაგვაროს ქალაქის მიერ აფთიაქების იჯარით აღების საქმე.

### პროვინციაში.

— **შორაპნის მაზრაში.** შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით სოფ. ბოსლევში აშენებულ იქნება აბანო, ადგილობრივ მოსახლეობისათვის.

— **წიგნის მაღაზია.** გადაწყვეტილია შორაპანში დაარსდეს წიგნის მაღაზია და წიგნების საწყობი.

— **ლეჩხუმში.** სამაზრო აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ლოთობისა და საზარალო სათამაშოების წინააღმდეგ. დამნაშავენი დაჯარიმებულ იქნებიან 100 მანეთამდე.

## ხელოვნება.

— **ქართული ოპერა მოსკოვში.** მუსიკოსი ზ. ფალიაშვილი გაემგზავრა მოსკოვში იქ „აბესალომ და ეთერის“ და „დაისის“ დასადგმელად.

— **დასის გამგზავრება.** გუშინ ქართულ დრამის მსახიობთა დასი გაემგზავრა დასავლეთ საქართველოში წარმოდგენების გასამართავად.

## ცეცხლის მომკიდებელი ჭურვები, ტყვიები და გრანატები.

წარსულ იმპერიალისტურ ომის დროს დიდის წარმატებით ხმარობდენ ცეცხლის მომკიდებელ ჭურვებს საჰაერო ფლოტის წინააღმდეგ და აგრეთვე ადვილად ამთებ მიწიერ მიზნების წინააღმდეგ, საჰაერო ფლოტის საწინააღმდეგოდ მოქმედი ჭურვები, ჩვეულებრივად, სტოვებდენ თავის ტრაექტორიის კვალს. ეს ჭურვები გატენილია იმ ნივთიერებათა ნარევით, რაიცა გასროლის დროს ენთება და საუკეთესოთ მოქმედებს ამნთებ მასალებზე. ამ გვარი ჭურვები მცირე ყალიბრისა იყვნენ. უფრო მომსხო ყალიბრის ჭურვები, რომელნიც დაცემის დროს ენთებიან და ანთებული ერთეულები აქეთ-იქით იფანტებიან, მიწიერ მიზნების წინააღმდეგ სამოქმედოთ სასარგებლო გამოდგენ.

ცეცხლის მომკიდებელი ტყვიები მოქმედებენ მხოლოდ ადვილად აანთებ მასალებზე და ამიტომ უმთავრესად იხმარებოდა საჰაერო ბრძოლაში გაზების ბალონების, და ბენზინის ასაფეთქებლად. ამ ჟამად სცდილობენ უფრო დიდი ყალიბრის ტყვიების შემოღებას (11 მილიმეტრი), რადგან მას ანთების უფრო მძლავრი თვისება აქვს.

ცეცხლის მომკიდებელი მასალათ არის ან ყვითელი ფოსფორი ან განსაკუთრებული ცეცხლის წამკიდებელი ნარევი, რომელიც შესდგება გამჟანგავისა და საწვავი მასალისა, ან საწვავ ნივთიერებათა ნარევისაგან. თეთრი ტყვიები, რომელიც ხაზავდენ თეთრ ტრაექტორიას, შეიცავდენ ბარიუმისა და მაგნიუმის გადაჟანგს; წითლები—ამას გარდა შეიცავდენ აზოთმჟავ და ქლორის სტრონციუმს ან გადაჟანგს.

თუმცა ცეცხლის-მომკიდებელი გრანატებისა და სხვა ამნთებ მცირე ყალიბრის ჭურვებს მოხმარების ძალიან განსაზღვრული ფარგლები აქვს, მხოლოდ ამ გვარი საშუალებანი მეტად სასარგებლონი აღმოჩნდნენ სატრანშეო ომში.

კვამლის წარმოსაშობათ დანიშნული ფოსფორიან გრანატებს აღმოაჩნდათ ცეცხლის მოკიდების თვისებაც. ცეცხლის მომკიდებელი გრანატები იხმარება აგრეთვე მაშინაც, როდესაც ჰაეროპლანს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზედ უფუჭდებოდა მოტორი, საკუთარ ჰაეროპლანის მოსასპობად.

ხელის გრანატა მოწყობილი იყო მოწინააღმდეგის საომარ სურსათის საწყობების ცეცხლის მოსაკიდებლად და აგრეთვე ტრანშეის წინ მოთავსებულ ჩალისა და სხვა მასალის მოსასპობად.

სტოქსისა და ლივენსის ნაღმტყორცნისათვის გამოგონილი იყო განსაკუთრებული ცეცხლის-მომკიდებელი ჭურვი, მოწინააღმდეგის თხრილში ნაღმტყორცნიდან გასროლილი ჭურვი აფეთქების დროს იძლეოდა დიდ ცეცხლს და ისვრიდა ცეცხლის მომკიდებელს 120 ფუტის ფოლოცის ფარგლებში.

**გ. ბ—შვილი.**

## =მეცნიერება და ტექნიკა=

### მოხუცებულობის წინააღმდეგ. ბრძოლა.

(გაგრძელება)

ადამიანის ორგანიზმში არსებობს კიდევ მეორე შესანიშნავი შინაგან სეკრეტის ჯირყვალი. ის მოთავსებულია თავის ტვინის ძირში. ცდებმა და დაკვირვებებმა გამოარკვიეს, რომ ამ ე. წ. „სისხლის“ ჯირყვალის ავადმყოფური გადიდება იწვევს ე. წ. „გიგანტიზმს“ ე. ი. მთელი ტანის ან მისი რომელიმე ნაწილის გაზრდას ნორმალურზე ზევით. მაშასადამე ყოველ ვებერთელა-მაღალ და დიდ კაცს ხსენებული ჯირყვალის ავადმყოფური გადიდება ჰქონია. პირ იქით, როდესაც აღნიშნული „სისხლოვანი“ ჯირყვალი სრულიად არ არსებობს, ადამიანი რჩება ლილიპუტად, მაგრამ მის გონებრივ განვითარებაზე კი თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს ეს მოვლენა. ყველა ეს მოვიყვანეთ იმიტომ, რომ გვინდოდა აშკარა გვეყო შინაგან სეკრეციის ესოდენ დიდი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის. ასეთ ე. ი. შინაგან სეკრეციის ჯირყვალთა რიგს ეკუთვნის ადამიანის სასქესო ორგანოებიც: მამაკაცის და დედაკაცის საკვერცხეები, რომლებიც უშვებენ სისხლში თითეული მათგანის დამახასიათებელ გარმონებს.

ეხლა პირდაპირ გადავდივართ შტეინახის ცდებზე. შტეინახმა მეტად ლამაზი მაგალითით დაამტკიცა ცხოველებში სასქესო ჯირყვლების შინაგან სეკრეტორული როლი. აი ერთი მისი ცდა: მან გამოაცალა ოთხი კვირის ვირთაგვას სასქესო ჯირყვალი ანუ საკვერცხე. მიუხედავად იმისა, რომ პატარა ვირთაგვა თანდათან იზრდებოდა და ვითარდებოდა მისი სასქესო ორგანოები იმ დონეზედვე იყო გაჩერებული, როგორც ოპერაციის დროს.

საჭირო შეიქმნა ამ მამალ ვირთაგვისათვის ჩაესვა შტეინახს, მეორე მამალი ვირთაგვის ერთი სასქესო ჯირყვალი რომ სასქესო ორგანოები აპერაცია ქმნილ ვირთაგვისა ზრდაში წასულიყო. მაგრამ საყურადღებო არის ის გარემოება, რომ სხვა ვირთაგვის სასქესო ჯირყვალი საჭირო არაა მაინც და მაინც ჩაისვას ჯირყვალის ადგილზე. სულ ერთია სადაც არ უნდა ჩაისვას ის. ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მაგალითად, შეიძლება კან ქვეშ, მუცლის სიღრუის კუნთებში და საზოგადოთ იქ, სადაც თავს იყრის სისხლის მატარებელი ბეწვისებრივი მილები.

აქ საყურადღებოა ერთის აღნიშვნა: ის გარემოება რომ სასქესო ჯირყვალი შეეგუა არა თავის პირვანდელ ადგილს, იმის მომასწავებელია, რომ სასქესო ჯირყვლების ამოცლით მართლაც დარღვეულა შინაგან სეკრეტორული მუშაობა, და მისი ამ მხრივ დიდ მნიშვნელოვანობა ცხადია. აქედანვე მტკიცდება, რომ სეკრეციის გარმონები მოქმედობენ სისხლის საშვალებით, წინააღმდეგ შემთხვევაში როგორ შეიძლება სადმე კან ქვეშ, შეჯენილმა სასქესო ჯირყვალმა გავლენა მოახდინოს სასქესო ორგანოებზე. ეს გარემოება მტკიცდება კიდევ შემდეგი მაგალითით: შეიძლება გამოვქაჩოთ სითხე ცხოველის სათესლედან და შეუშხაპუნოთ ის მეორე ცხოველის კან ქვეშ ამას ისეთივე შედეგები მოყვება ორგანიზმისათვის, რადგან სისხლში შევლენ ამ გამოქაჩულ სითხის გარმონები.

ეხლა შტეინახმა უფრო ქვევით განავითარა თავისი ცდები: მან აილო და ვირთაგვას ამოაცალა სასქესო ჯირყვლები, შემდეგ ამოაცალა აგრეთვე დედალ ვირთაგვას საკუთარი სასქესო ჯირყვალი და გადაუსვა მამალ ვირთაგვას. აი როგორი მოვლენები მოხდა რამოდენიმე ხნის შემდეგ ამ ვირთაგვაში: მისი სასქესო ორგანო თანდათან შემცირებაში წავიდა, ჩვეულებრივად ცეტი გაუჩერებელი მამალი ვირთაგვის ხასიათი თანდათან დამშვიდდა და რაც მთავარია დედრობითი სქესის ვირთაგვებისადმი სქესობრივი ლტოლვა სრულიად გაჰქრა მასში. ჩამოუყალიბდა ყველა ის თვისებები რაც ახასიათებს დედალ ვირთაგვებს და მამალი ვირთაგვებიც კი ასეთათ იღებდენ მას. შებრუნებულ მოვლენას ჰქონდა ადგილი როდესაც დედალ ვირთაგვას მოუხდინეს მამალის სასქესო ჯირყვალის გადასმა. უკანასკნელმა მამალის ხასიათი გამოიმუშავა. სასქესო ორგანოებიც დედრობითი სახიდან მამრობითი სახისკენ განვითარებაში წავიდა. და დედალს თავი მოჰქონდა ისე, როგორც ნამდვილი მამალ ვირთაგვას.

**შეიხ.**

## ცირკულიარი

### № 79

**ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისადმი.**

„5“ მაისი 1924 წ. ქ. ტფილისი.

**ყველა მაზრის სამხედრო კომისრებს, ასლი რწმუნებულებს.**

1902 წელში დაბადებულთა მიერ ჩვენი წითელი ჯარის რიგების შევსება დიდათ განსხვავდება წარსული წლებისაგან, როგორც სხვა პოლიტიკური მდგომარეობით მთელი მასშტაბში, ისე მისი ეკონომიური მდგომარეობითაც, რომლის მხრივ ჩვენი წარმატება ყველასათვის ცხადია.

ასეთი მდგომარეობის დაცვა და მთელის ენერგიით მონაწილეობის მიღება, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ აღმშენებლობაში, აი მიზანი ჩვენი წითელი ჯარისა, ამ მიზანს კი მივაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა თითეულ წითელ არმიელს ნათლად ექნება წარმოდგენილი თავისი მოვალეობა მუშა-გლეხურ სახელმწიფოს წინაშე. ხოლო ასეთი შეგნებისათვის საჭიროა, რომ წითელ არმიელმა წაიკითხოს ჟურნალ-გაზეთები ადევნოს თვალ-ყური როგორც ჩვენს შინაურს მდგომარეობას, ისე ჩვენს გარშემო მდებარე კაპიტალისტურ ქვეყნებს. ამის შეძლება წითელ არმიელებს ექნებათ მხოლოდ მაშინ, როცა ყველა მათგანს ეცოდინება წერა-კითხვა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1902 წ. დაბადებულთაგან ჯარის ნაწილების შევსება მოგვცემს არა ნაკლებ 20% წერა-კითხვის უცოდინარებისას. ამიტომ პოლიტ-განყოფილების პირველი და უმთავრესი მიზანია მოახდინოს წითელ არმიელების წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. ამით ხელი შეეწყობა ჩვენი ჯარის სამხედრო მომზადების გაადვილებას და წითელ არმიელების გონებრივ განვითარებას.

ამიტომ, რათა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია მოხდეს მოკლე დროში და ნაკლები ენერგიის დახარჯვით, პოლიტ-განყოფილება გიბრძანებთ:

1. ყველა წერა-კითხვის უცოდინარი ახალგაზრდები გაიგზავნონ 1, 2 და 3 მსროლელ ლეგიონებში და

2. არც ერთი წ.-კითხ. უცოდინარი ახალგაზრდები არ გაიგზავნონ სპეციალურ დარგის ნაწილებში, როგორც არის: 1) საარტილერიო დივიზიონი, 2) უნცროს მეთაურთა სკოლა, 3) საკავშირო ასეული, 4) მესანგრეთა ასეული და 5) ცხენოსანი ლეგიონი.

ამ განკარგულების სისრულეში მოყვანა ევალება და პასუხის მგებელნი არიან მაზრის სამხედრო კომისრები.

პოლიტ-გან. უფ. თან. და საგიტპროპო ნაწ. უფროსი **ნადირაძე.**

სასკოლო სექციის უფროსი **პ. თალაკვაძე.**

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ამხ. ხაშელს, ცაგარელს, გიოშელს და ცხადაძეს.** თქვენი ლექსები არ წავა.

**სამხკორ აგაქოვს.** თქვენი წერილი „რა გაკეთდა და რა გაკეთდება“ არ წავა, რადგან ამავე შინაარსის წერილი წინა ნომერში იყო მოთავსებული.

**ამხ. ს. ჭიჭინაძეს.** თქვენი ლია წერილი არ წავა, რადგან თქვენ წერილში აღნიშნულ საკითხის გარშემო—ორივე მხარეს ჰქონდა მოთავსებული, საკითხი საკმაოდ გაშუქებულია, წერილებში ჩვენ ველოდებით საბოლოო სიტყვას ვისგანაც ჯერ-არს.

## ვის აქვს რაიმე საწინააღმდეგო.

ქართულ დივიზიის პარტ-კომისიაში შემოტანილი აქვს განცხადება კომპარტიის კანდიტატათ მიღებაზე შემდეგ ამხანაგებს: 1. ანთელიძე გიორგი გრიგოლის-ძე, 2. ნიკურაძე იაკინთე სიმონის-ძე, 3. დმონიკოვი ზაქარია არტემის ძე, 4. რიონიშვილი ივანე ნესტორის-ძე, 5. ლეშქაშელი ონისიმე იოსების-ძე, 6. რომანოვი ნიკოლოზ ლავრენტის-ძე, 7. კალკოვი სურენ ამბარცუმის-ძე 8. ქორჩილავა სპირიდონ კაციას-ძე 9. ლორია ილია ივანეს-ძე, 10. დარჩია ილია არტემის-ძე, 11. ჩაჩავა შალვა სოლომონის-ძე, 12. აბაშიძე დავითი ალექსანდრეს-ძე 13. სუბატაშვილი აპოლონ თეოფილეს ძე, 14. მახარაძე გალაქტიონ იულიანეს ძე, 15. ლორთქიფანიძე ალექსანდრე ერმილეს-ძე, 16. ბურჭულაძე დიმიტრი სამუელის-ძე, 17. რევიშვილი პლატონი კოსტას-ძე, 18. ხარაბაძე ალექსანდრე ვასილის ძე, 19. გოგობერიძე სერგო ფარნაოზის-ძე 20. ქოქაშვილი გიორგი ანდრიას-ძე, 21. ბითაძე არხიპო სიმონის-ძე, 22. შუღლიშვილი შაქრო პავლეს-ძე 23. კვანტალიანი ნოე თომას-ძე, 24. დიმიტრაშვილი იაკობი სიმონის-ძე, 25. რიჟამაძე შალვა დავითის-ძე 26. ხიდურელი ალექსანდრე ლევანის-ძე, 27. ბიბილეიშვილი აპოლონ პლატონის-ძე, 28. ბითაძე გიორგი სიმონის-ძე, 29. სახეჩიძე ანდრო სიმონის-ძე, 30. ქყონია პეტრე ნიკოლოზის-ძე, 31. ლეკვიშვილი შოთა ივანეს-ძე, 32. ჯანაშია ივანე ანდრიას-ძე, 33. მსხილაძე ალექსანდრე სოლომონის-ძე, 34. ჯანჯღავა იულიანე ლუარსაბის-ძე, 35. ბიბილური გიორგი კონსტანტინეს-ძე, 36. ტყებუჩავა იოსები ნიკოლოზის-ძე, 37. ხუნწარია კირილე ნესტორის ძე. (ყველანი მეორე ქართულ ლეგიონიდან).

ქართულ დივიზიის პარტკომისია გთხოვთ თუ ვინმემ იცით რაიმე მათ საწინააღმდეგოდ უარყოფითი პარტიაში მიღების შესახებ, გვაცნობოთ ერთი კვირის განმავლობაში წერილობით ან სიტყვიერათ პარტ-კომისიაში.

**მისამართი:** რუსთაველის პროსპ. ყოფ. კადეტის კორპუსის შენობა. ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილება. –პარტკომისია.

ქ. მ. დ. **პარტკომისია.**

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე.**